პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2019 წლის ქ. თბილისი

„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის N337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №337 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge , 18/06/2018, სარეგისტრაციო კოდი: 340020000.10.003.020652) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში არსებობს ბაზარზე სერტიფიცირებული თესლის განთავსებასთან დაკავშირებით დროებითი სირთულეები (საფრთხე ექმნება სასურსათო უსაფრთხოებას), სერტიფიცირების ორგანომ, შესაძლებელია გასცეს დროებითი სერტიფიკატი და ბაზარზე დაშვებულ იქნეს ისეთი თესლი, (გარდა საბაზისო თესლისა), რომელიც არ აკმაყოფილებს თესლის მინიმალური აღმოცენებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და აღნიშნულის შესახებ უნდა გაკეთდეს სპეციალური მითითება შესაბამის ეტიკეტზე“.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სერტიფიკატის გაცემისას უნდა მიეთითოს:

ა) მოსალოდნელი მინიმალური აღმოცენების უნარი;

ბ) მოთხოვნილი თესლის რაოდენობა;

გ) სირთულის არსებობის შესახებ დოკუმენტური დასაბუთება;

დ) ბაზარზე განთავსების არეალი, სადაც ასეთი სირთულე არსებობს;

ე) დროებითი სერტიფიკატის ვადა.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**